

კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით მიღებული პროექტები

დანართი

№	გრანტის დასახელება	ხელმძღვანელი	პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები	მოცულობა (თანხა)	სტატუსი დასრულებული/ მიმდინარე	გრანტის კოდი
1	ნედლი ყურძნიდან წიპწის გამცლელი ექსპერიმენტული დანადგარი	ნუგზარ ბალათურია	13.09.2021-13.09.2022	52580	დასრულებული	RIM-3-21-085
2	ორთქლის გენერატორი	ნუგზარ ბალათურია	27.06.2022-27.06.2023	61400	დასრულებული	RIM-3-22-108

აბსტრაქტები :

1. -კონკრეტული შედეგი-
-რეკომენდაციები

ღვინის ხარისხის ძირითადი განმსაზღვრელია წიპწასა და კანში არსებული ფენოლური ნაერთები. ამასთან, წიპწის ფენოლები ღვინოს სძენს სიუხემეს. რაც

შეეხება კანში არსებულ ფენოლოური ნაერთებს ისინი განაპირობებენ ღვინის ხავერდოვნებასა და სირბილეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინსტიტუტის მიერ დამუშავებულია ტექნოლოგია, რომელიც გულისხმობს სველი დურდოდან წიპწის მოშორებას. აღნიშნულთან დაკავშირებით გრანტის მეშვეობით შეძენილ იქნა სველი დურდოდან წიპწის გამცლელი დანადგარი, რომლის გამოყენებით, არსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით, მიიღება მაღალხარისხოვანი, როგორც თეთრი, ასევე წითელი ღვინოები.

ამჟამად მიმდინარეობს ინსტიტუტის თეთრიწყაროს ექსპერიმენტულ ქარხანაში თანამედროვე ექსპერიმენტული ბაზის მშენებლობა, რომლის დასრულების შემდგომ ნედლი დურდოდან წიპწის გამცლელი დანადგარი ჩართული იქნება წითელი და თეთრი ყურძნის გადამამუშავებელ ტექნოლოგიურ ხაზში. აღნიშნულ საწარმოში რეკომენდირებულია დამუშავდეს ქართული ჯიშის ყურძნებიდან კონკურენტუნარიანი ღვინის წარმოების ახალი ტექნოლოგიური რეგლამენტი და მოხდეს მისი გავრცელება ქვეყნის მასშტაბით.

2. -კონკრეტული შედეგი- -რეკომენდაციები

ინსტიტუტის თეთრიწყაროს ექსპერიმენტულ ქარხანაში მიმდინარეობს თანამედროვე საწარმოს მშენებლობა , რომლის დასრულების შემდეგ გამოიხსნება ქარხნის ამოქმედება. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია ქარხნის აღჭურვა ორთქლის გენერატორით. რომელიც გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტექნოლოგიებში ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების თბური დამუშავებისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით გრანტის მეშვეობით ინსტიტუტის მიერ შეძენილ იქნა ორთქლის გენერატორი.

რეკომენდირებულია ორთქლის გენერატორის დამონტაჟება ახალ საწარმოში .